სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 909

დამატების № 160

კვირა, 2 თებერვალ 1913 წ.

რაფაელის ახალი მადონა.

...გაეცალე, გაეცალე

შენ ციური სინაზე ხარ მზის სხივების მოციქული
მიწის სევდით გადაშლილი წმიდა ტრფობის თაიგული
არ ემსხვერპლო მიწის ვნებას, არ მოხარო ქედი მალე
ჩემო სულო! შავ მიწას კი—გაეცალე გაეცალე!..

***

შენ ოხვრა ხარ ქალწულისა ვნების ცრემლში ჩალესილი
შენ ხარ მგოსნის აღმაფრენა სიყვარულით სხივგაშლილი
ტბისა ლივლივს ჩაეწანი ტალღებშია მიიმალე
შავ მიწას კი, ჩემო სულო, გაეცალე, გაეცალე!..

***

ან გაჰყევი სხივის კრთომას ცის ლაჟვარდში სძებნე ბინა
ღრუბლის ქულას შეამოავლე გულმა რითაც იქვითინა
ღმერთს აუწყე გიჟურ ბოდვას თავი რისთვის ანაცვალე
შავ მიწას კი, ჩემო სულო, გაეცალე, გაეცალე!..

***

ცაში ცეცხლის წვიმის ცვარი სპეტაკ ეთერს აელვარებს
ელვის ზოლზე მიწის ბურთი დაწნულ ეთერს მკერდს იფარებს
იქ—ვარსკვლავთა ლივლივიდან ცრემლით მიწას უთვალთვალე!..
აქედგან კი შავბნელ მიწას, გაეცალე, გაეცალე!..

***

მზეს ასცილდი, ჟამთა დენის საიდუმლოს საძებნელად
თავხედურად ცას მოსთხოვე რისთვისაც ხარ ქვეყნად ხელად
ცისკენ სულო, მღელვარე სულთ გზა ასწავლე... გაუკვალე,
შავ მიწას კი, ჩემო სულო, გაეცალე, გაეცალე!..

კიკნა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე*)

დრამა-ზღაპარი 3 მოქმ. 6 სურათად.

კერპთა ქურუმთა ცხოვრებიდან.

(მოქმედება სწარმოებს არმაზის მთის მიდამოში, მეორე საუკუნეში).

მოქმედება მეორე.

მეორე სურათი.

ორი ბნელი საკანი; ორივეში სდგას: ქვის საწოლები და დოქები წყლით; ერთში წევს ნანა, მეორეში იასე, სრული სიბნელე; მოისმის ბუს ხმა.

1.

ნანა, იასე.

ნანა. (ძილში) ია-სე... მე, მე დაგ-ღუ..

იგინივე მეფარმაზ.

მეფარმაზ. (კარებს შეაღებს) მნათე, შენ მანდ გეჭიროს თვალი... მანიშნე... იქნება როგორმე მოვანანიო. (შემოვა სანათით) მოძღვარო ნანა...

ნანა. (გამოურკვეველი) ჰა... იასე, შენ...

მეფარმაზ. იასე?!.. არა, მე ვარ მეფარმაზ... სწორედ მზის შვენებაა...

ნანა. (უცბათ აიხვევს პირსა) მეფარმაზ?..

მეფარმაზ. ხომ ხედავ, მეც არ დამვიწყებიხარ... შეიხსენ ეგ მოსახვევი, რად იკრავ... შენ ხმას არა მცემ?.. კარგია, დაწყნარდი... მე მომთმენი ვარ... აი, მე საწოლ ქვაზე ჩამოვ-ჯდები... შენც მომიჯდები... არ მეკარები?!.. მაგრამ, არა, დაწყნარდი... მე მოველ რომ დაგარიგო...

ნანა. (ერთს ნაბიჯს უკან გადადგავს) მამა-შვილურად?!..

მეფარმაზ. მოძღვარო ნანა! შენ მე დამცინი!.. კარგია, აქ დაჯექ... არ ვარგა აგრე... ჯიუტობითა ვერას გააწყობ... შესნ თავსაც ავნებ... აი, ხომ ხედავ, მაგით შენ იასესაც დაღუპავ...

ნანა. იასეს?!.. არა, იასე აქ რა შუაშია... ის სრულიად უდანაშაულოა...

მეფარმაზ. ჰო, და, აი, ხომ ხედავ... თუ გაჯიუტდი, მაშ, ისიც დაიღუპება...

ნანა. მაშ, მე რომ...

მეფარმაზ. ჰო, და შენ, რომ დასთანხმდე, ჩვენს წესსა დაემორჩილო... ვეცდები გადავარჩინო, ხომ ჩემს ხელშია...

ნანა. (განწირვით) მაშ, იასე განთავისუფლდება... და ჩემით...

მეფარმაზ. ჰო, და დაემორჩილე ღმერთების წესსა, კანონსა და...

ნანა. განწირვით მით გადავარჩენ იასესა...

მეფარმაზ. ტანჯვას ასცდება... აქედანაც წავა, განთავისუფლდება...

ნანა. აქაურობას ის განშორდება... ოხ, დედავ, ჩემო მშობელო!.. წელან გძრახავდი მორჩილებისთვის... მაგრამ, ვინ იცის... იქნებ შენც... შენც ვისიმეს. (ყრუდ) სიყვარულისთვის (სასოწარკვეთილის მორჩილებით) ალბად, ჩემი ბედიც ბებისაგან მე დამყოლია... კარგია, მე თანახმა (გულ-წასული დაეცემა) მე... თან-ახმ...

მეფარმაზ. ღმერთო, არმაზო!.. ნუ თუ ჩემია... მაგრამ, მოვაბრუნო, გული, წაუიდა (შეუსხნის მოსახვევს; შემდეგ ასწევს და დაზდებს ქვის საწოლზე; უსხნის გულ-მკერდს და დაუწყებს კოცნას) ოხ! რა მშვენებაა... ეს სიტკბოება თვით ღმერთებსაც ჩვენ დაგვავიწყებს.. იასე!.. ააჰ, რა სიამოვნებით ჩაგწვავ არმაზის ცეცხლშია... ეს თვით კანონმა... ვმადლობ ჩემს მოწინავეთ, რომ მათის ბძანებით მე ეს დამისაკუთრა...

ნანა. ჰა... მე... სად... ვინ...

მეფარმაზ. მე... მეფარმაზ...



ნახატი ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

ნანა. (გველ-ნაკბენივით წამოიჭრება) მეფარმაზ?! გორ, შენ ისარგებლე ჩემის სისუსტით?!.. ჩემის გონების შერყევით?.. შორს, არ მომეკარო!.. შე მახინჯო!.. არა მარტოდ სახითა, არამედ თვითვე სულითა...

მეფარმაზ. მე, შენ, ძალით...

ნანა. შორს!.. როგორ, შენ ძალით?!.. მე საღის გონების მეუფლე!.. უმალ თქვენ, თქვენის კერპებით მთლად დაიმსხვრევით, განადგურდებით... სანამ დაგმორჩილდებით...

მეფარმაზ. შენ ძალით დაგიმორჩილებ... შემდეგ ცეცხლს მიგცემ არმაზისას...

ნანა. (ხელს მოჰკიდებს წყლის დოქს) შორს, არ მომეკარო!.. თორემ, ხომ ჰხედავ, ნიშანსა დაგდებ მაგ მახინჯს სახესა...

მეფარმაზ. (შეშინებული, საბრალოს ვამომეტყველებით) მე...

ნანა. ხმა!.. ჰა, ჰა, ჰა... უბძანე მნათეს კარი გაგიღოს და წინ წაგიძღვეს, ვითა მეფარმაზს (რა გავა იგი მუხლს მოიდრეკს) ღმერთო გამჩენო! შენ მომე: ძალი, გონება საღი...

2.

იასე, ნანა, მაია, ზორვა.

იასე. (ძილში) შენ... ქრისტე ნაზარეველო...

ზორვა. (შემოაღებს კარებს) ხედავ, ლოცულობს...

მაია. მე სანამ მოვა მნათე აქვე მოვიცდი, ნიშანს არ დავივიწყებ... ხოლო შენ ჯერ უამბე...

3.

ზორვა. ჩემი შემოსვლა ვერც-კი გაიგო... იქნებ... მაგრამ, არა... მაგასაც უყვარს... ოჰ, სიყვარულო... რა რიგ არის გატაცებული... ეს სინათლე ვერც-კი შენიშნა...

ნანა. (შეამჩნევს სინათლეს, მიმოიხედავს და წამოვარდება) სინათლეა...

ზორვა. მე ვარ, მოძღვარო ნანა...

ნანა. შენ... ზორვა, ჩემს საკანში!..

ზორვა. მე... აი, მაიაც ეხლავე მოვა...

ნანა. მაია?!..

4.

იგინივე მაია.

მაია. აი, მეც... რა ჰქენ, უამბე?..

ზორვა. ვერა, ვერ გაუბედე...

ნანა. მერე რა არის განა ისეთი?.. ან და როგორ, რისთვის ხართ აქა...

მაია. მოკლედ, რადგან დრო აღარ არის... აი, მოძღვარო!.. ზორვას წილად ჰხვდა შენი ადგილის აქ დაკავება...

ნანა. როგორ...

მაია. მე უკვე შენის საცმელით იგი მოვკაზმე... პირი ხომ მაინც ახვეული გვაქვს, ხმასაც არ ამოიღებს და ვიღა იცნობს...

ნანა. როგორ, ჩემს მაგიერ ეგ გაიწიროს? არა და არა...

ზორვა. უარს ნუ მეტყვი მით დაგიმადლებ...

ნანა. არა, ზორვა, ეგ შეუძლებელია...

ზორვა. ჩემთვის-კი, ნანა, სანატრელია... მე აქ არარა ვარ... და არც არა ვისმეს ვარგივარ... ჩემს სიყვარულსა მე ვერ შევსწვდები... ხოლო ჩემს შვილს-კი, ვგონებ, სიკვდილით გამოვადგები...

ნანა. შენ შვილი გყავს... საყვარელ არსებიდან?.. და მერე... რატომ ვინც შენ გიყვარს...

მაია. ვინც უყვარს, ახლოა... მაგრამ მიუწდომელია, უიმედო... ამისი შვილი შემოწირულია, ზორვადია... მაისში ჩვეულებისამებრ მსხვერპლად შესწირავენ არმაზს, მისი ჯერია...

ნანა. ოხ, სიბნელევ, უგუნურებავ... როდის უნდა გაძღე უმანკო სისხლით?

*) იხ. სურათებიანი დამატება № 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძის დასაფლავება.

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქციის წინ.

მაია. აი, მას სურს, გასწიროს თავი და მით შვილი გადაარჩინოს.

ნანა. და, მერე, როგორ...

მაია. ეგ თვითონ იცის და მნათემ... შენ-კი, მოძღვარო, ნუ იგვიანებ... რადგან იასეც უკვე მოგელის... თქვენ ერთად წახვალთ სამშვიდობოსა...

ნანა. როგორ, იასე? მაშ, იასე განთავისუფლდა?..

ზორვა. გთხოვ, ნანა!.. მეც არ დამივიწყო...

ნანა. არა, ეს ხომ...

მაია. დროა, ისწრაფე, ნანა... საცაა ცისკარი ცათ გამოჩნდება... კარებთან გველის მნათე...

ნანა. (შეხედავენ ერთმანეთს და გადაეხვევიან) ზორვა...

ზორვა. ნანა... გასწით, მოძღვარო, დასტკბით...

მაია. შენ და იასე... დასთესეთ ეგ სიყვარული ჩვენ ხალხის გულში... დაე, მოიმკან მათ მომავალში...

ნანა. ჩემო გამზრდელო...

ზორვა. კმარა... კარგია გასწით... მე-კი მივეცე ჩემისა ბედის წერას...

5.

ზორვა, იასე, სხივი.

ზორვა. ღმერთებო, მომეცით ძალა... მიიღეთ ეს ჩემი სული, იკმარეთ იგი და მაჩუქეთ შვილი...

იასე. რად... რის-თვის... განა ამი-თი...

სხივი. (სხეულის მაგვარი) იასე!..

იასე. (ზურგზე მწოლარი წამოიჭრება, თვალებს გაახელს) ეს ხმა იდუმალი... რა ხარ, რა სულიერი ხარ...

სხივი. სხივი!.. გონების...

იასე. მერე აქამდე რატომ არსად არ მინახვიხარ?..

სხივი. საყოველთაოდ შენში ვარ...

იასე. ჩემში?!.. მაგრამ ეხლა, ასე ნათლად...

სხივი. ვითა გონების სანათად...

იასე. მერე, და...

სხივი. იასე! რისთვის ყოყმანობ?

იასე. მე... განა ვყოყმანობ?..

სხივი. ნუ თუ ვერ ამჩნევ დღის სინათლესა?..

იასე. ვხედავ, ვხედავ, რომ მზისა სხივნი ღამის წყვდიადის დამთრგუნავია...

სხივი. მაშ, გასწი იმა სინათლის ბილიკით...

იასე. მერე, ვისთვის და რისთვის...

სხივი. შენის ხალხისთვის...

იასე. როგორ?!.. რომელნიც კერპთა... ხელთა იქნილება გაულმერთიად... თლილის ქვისაგან და რკინისაგან გამოუსახავთ კერპნი ღმერთებად?.. და თავის შვილებს, უმანკო ბავშვებს, ყელებს ღადრავენ შესაწირავად?..

სხივი. ეგ გონებისა სიბნელე არის... შენი ვალია ეგ შენი სხივი მათ ჩაუშუქო...

იასე. მაგრამ...

სხივი. იქნებ გგონიათ: არმაზის თვალი განგებით ბრწყინავს?..

იასე. არა, არა...

სხივი. და თუ დაბრმავდა... ეს ხომ მეფარმაზის ოინებია...

იასე. ვგონებ... დიახ, დიახ...

სხივი. მაშ, წადი, ნულარ შედრკები... გაუკვალ გზასა ნუ...

იასე. მაგრამ... განა თვით... აი, ქრისტე ნაზარეველი... მისმავე ხალხმა არ შეიწყნარა... იგი ჯვარს აცვა...

სხივი. ვისით ჯვარს ეცვა, მათშივე აღზდგა... ნუ თუ არ გესმის, დღეს შუქი ჰფენს ყველას გულში, მთელს საბერძნეთში... გასწი, ნუ აგვიანებ ამა კერპების უარის ყოფას...

იასე. მე, მე ვაგვიანებ?!..

სხივი. დაჰკა კერპებსა, მით დაამსხვრიე... ხოლო მით ბნელთა გონების თვალი აუხილე...

იასე. (დაეცემა მუხლებზე) გმადლობ შენ...

6.

ზორვა, იასე, ნანა და შემდეგ მაია.

ნანა. (რა შემოაღებს კარებს სანათით. სხივი გაჰქრება) იასე...

იასე. (უცბად მობრუნებული იცნობს, წამოვარდება, თავ-დავიწყებული გადაეხვევა) ნანა...

მაია. (კარგა ხნის შემდეგ) კარგით, კმარა... დროა გაუდგეთ გზასა... გალავნის კართან დაგხვდებათ მნათე... ის დაგაყენებთ უზრუნველ გზაზე...

იასე. უზრუნველ გზაზე?..

ნანა. დროა წავიდეთ...

იასა. მერე შენც ჩემთან მოხვალ?..

ნანა. შენთანა, ჩემო სინათლევ სიყვარულისავ...

იასე. გმადლობ, შენ ღმერთო...

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე.

პირველი სურათი.

მთა ფიჭვნარი მანგლისის ხეობისა. მთის ფერდობი, სადაც ჰყვავიან ყვავილნი ამწვანებულ ქორჯა ბალახთა შორის. საღამოა, მოისმის მდინარის შხუილი. ფრინველების ყღივილი, ბატკნებთა აქა იქა ბღავილი და ამას ყოველს ერთვის მეცხვარის სალამურის ხმა წყნარი და ტკბილი.

1.

ნანა, იასე.

ნანა. რა ტკბილია, ჩემო იასე, ყოფნა შენთანა. თითქოს ბუნებაც ხაროობს ჩვენითა. შეხედე, ყვავილთ, რა რიგ იფურჩქნებიან... ასე მგონია ყველა მე შემომხარის, ჩვენის ნეტარებითა სტკბება... აგერ, შეხედე ბელურას... იმ ბუჩქთანა, მე-

არჩილ ჯორჯაძის დასაფლავება.

სასახლის ქუჩაზე.

გობარს რა რიგ თავს დასტრიალებს, ეჭუკჭუკება, თითქოს მას ეალერსება... შენ, იასე დღეს... სამის დღის შემდეგ, ვგონებ მოგწყინდა ჩემთანა ყოფნა...

იასე. აბა, რას ამბობ... ოხ, სიტკბოებავ ამა ქვეყნისავ... განა შენთან ყოფნა მომეწყინება?.. მხოლოდ ამ სამის დღის განმავლობაში ვიგემე მთელი ცხოვრება...

ნანა. არა, მხოლოდ ერთს დღეში...

იასე. როგორ? დღეს ხომ მესამე დღეა...

ნანა. ორი დღე აკი გზაში ვიყავით...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იასე. ჩემო ცხოვრებავ...

ნანა. ჩემო დიდებავ...

იასე. შენა სთქვი წელან, ბუნება ჩვენით ხარობდეს... არა... ჩვენ იმიტომა ვართ გაჩენილნი, რომ ყოველივით თვით ჩვენ ვხარობდეთ... მოვლინებულს კი არ ვიხშობდეთ, არამედ მითი ვსტკბებოდეთ... აი, მზე იმიტომა ბრწყინავს, რომ სითბო აძლიოს დედამიწას...

ნანა. შეხედე, იასე, მზე გადახრილა... რომ აღარ ბრწყინავს, გაწითლებულა... რად დაუკარგავს თვისი სხივი?..

იასე. სხივი?!.. თვით მეც... მეც დავკარგე იგი (წამოვარდება) მაშ, რატომ არ მიჩანს იგი?.. ნუ თუ ცხოვრების სიტკბოებამ დამიხშო?..

ნანა. (აჰყვება) იასე რა დაგემართა?

იასე. არა, არა... მან, ხომ თვით მითხრა. ჩემშია იგი?.. მაშ, რატომ, რატომ არ მომეცვლინა ამ სამი დღის განმავლობაში?..

ნანა. იასე, რა გემართება... ნუ თუ მოგწყინდა?..

იასე. არა, აბა რას ამბობ?.. მაგრამ, იცი ნანა... მეც თვით დავკარგე... აი, გესმის... ჩემი, ჩემი გონების სხივი... აი, იმ ღამეს... მერე და რა რიგ ბრწყინავდა... გესმის, ნანა, სანამ შენ ჩემსა სენაკში შემოხვიდოდი... იმ ბნელ სენაკში მე თვით ვხედავდი...

ნანა. ჩემო დიდებავ, რა გემართება?..

იასე. მაჰს (მზისა მიმართ) „მისი შუქი ჰფენს მთელს საბერძნეთში“... გესმის, ნანა!.. ჩვენ ხვალ დილით ადრიან გზას გავუდგებით... იქ, იქ მოვიპოვო სხივი... მისი ჭეშმარიტება... შემდეგ, ჩემი ვალია... დიახ, ჩემი ვალია: „ჩემს ხალხს მოვფინო რაც ეჭირვება... მაშ, ხვალ, ნანა, ვისწრაფოთ სინათლისაკენ... თუ გინდ, აი ეხლა... ნანა, შეხედე მნათე...

2.

იგინივე მნათე.

მნათე. დიახ, მე მნათე... მშვიდობა თქვენდა...

იასე. მერე და როგორ?..

მნათე. კერპთაგან გამოქცეული... თქვენსა ნაკვალზე ვარ წამოსული...

იასე. გამოქცეული?..

მნათე. დიახ, მოძღვარო, განა თქვენს შემდეგ ღმერთებთან დაიდგომება?.. თქვენის გამოსტუმრების შემდეგ მეფარმაზმა, შენ დაგიბარა... მაგრამ, რა ვერ გიხილა ცეცხლი ჰყარა... თვალები დამიბრიალა, ვითა არმაზმა, და ბძანა, ორივე თვალი დასთხარეთო... მაგრამ იმავე ღამეს ჩვენმა კეთილმა მაიამ თქვენსკენ გამომაპარა...

ნანა. მერე ჩემსა მაიას...

მნათე. იმან, მოძღვარო, მეფარმაზისა ყოველი იცის... და აბა, იმას რას გაუბედავს?..

ნანა. ჩემს შესახება მოძღვართ სამსჯავრომ რა გადასწყვიტა?

მნათე. დაწვა არმაზის ცეცხლში...

ნანა. მაშ, მაინც დაწვა?..

მნათე. მეფე კარგა ხანს არ სთანხმდებოდა... მაგრამ მეფარმაზი არმაზის დაბრმავებაზე რომ უთითებდა...

იასე. ბოროტი სული...

მნათე. მით დაითანხმა... მაგრამა ბძანა: „დაე ღმერთმა არმაზმა ეს შაიწირ ოს და ამით ადამიანის სისხლი იკმაროს“...

ნანა. მაშ, საბრალო ბავშვი...

მნათე. ამის შემდგომ მეფემ არმაზის წინა ბევრი ილოცა და ცრემლიც კერპის წინაშე ბევრი დაჰღვარა...

ნანა. მეფე მეტად კეთილია...

იასე. შედარებით. სულიერთ მამა მეფარმაზი-კი თვითნება კერპი და ბოროტია...

მნათე. მასთან ფლიდია... თურმე ნუ იტყვი, მოძღვარო ნანა! იმ დღეს, აი, სამსჯავრო შენ რომა გსჯიდა, მოასე დაურიგებია: შენ შავი თიხა არმაზის თვალებს წასცხეო და თუ მეფემა უარი სთქვა ნანას სიკვდილით დასჯა, მაშინ განიშნებ, გვიამბე: ვითომც ციზმარში არმაზმა გთხოვა, ვით დამნაშავის ნანას სისხლიო...

იასე. ოხ, ბრბო ბოროტებისავ!.. ჩემო წინათ გრძნობავ!..

ნანა. მან იცის მეფის გულკეთილობა... მერე შენ...

მნათე. მაიამ, თურმე, მათ ყური მოჰკრა, როცა იასეს დატყვევებისას მოასეს ნიშნავდა ამის ადგილას...

იასე. ბრბო სიბნელისა, სისხლის მსმელისა...

მნათე. ხვალ არის დღესასწაული თვით არმაზისა... ხვალვე დასჯიან შესაწირავად, ვითა ზორვადსა...

იასე. ძერე ვისა...

მნათე. ნანა მოძღვრის მოადგილესა...

ნანა. (ლოცვით მუხლ-მოდრეკილი, ღაღადით მაღლა აპყრობილი) ჰოი, წმინდაო, უმანკო ზორვა...

იასე. მერე ვილას დასჯიან, როს ნანას საკანი ცარიელია?..

მნათე. არა, მოძღვარო, ამა დასჯასა ზორვა მოელის მოთმინებითა...

იასე. როგორ!..

ნანა. სპეტაკო სულო...

მნათე. მოძღვარ ნანას მაგიერ...

იასე. (გაოცებული) მერე როგორ!

მნათე. იმ დღეს, როდესაც გამოგისტუმრეთ მე და მაიამ, გადავწყვიტეთ... იქ იყო ზორვა და, რა გაიგო, მან თვით ირგუნა ეს ბედის წერა, გვთხოვა...

იასე. მერე...

მნათე. იგი ამ გვარ შემთხვევას, თურმე ელოდა; რადგან სიცოცხლე მოჰბეზრებოდა...

იასე. უმიზეზოთა?..

მნათე. არარაობას გრძნობდა ამა ქვეყნადა...

იასე. ეგ ხომა კერპთა ბუნაგში თვით შემოვიდა...

მნათე. ერთაგანიდან... იქ იზრდებოდა ჩვენივე მეფე...

იასე. რევ, ჩვენი მეფე!

მნათე. სანამ ქართველნი მას მოიხმობდნენ, სამეცხეთოში მეფედ დასვავდნენ; იქ იგი ზორვადს იცნობდა, ალბად უყვარდათ, მათ შვილიც ჰყოლიათ... მამას რომ ეს შეუტყვია უმანკო ბავშვი ჩვენს არმაზისთვის შემოუწირმვს...

იასე. ზორვადთა შორის... ჰოი, სიბნელევ...

მნათე დედაც შვილისა კვალსა გამოჰყვა და კერპთა შემოეწირა...

იასე. რომ შვილი თვით აღეზარდა, ძუძუ ეწუა... და, იგი, ვითა უმანკო კრავი, არმაზის წინა წამოექციათ, დედისა ძუძუთ ნაწოვი სისხლი კერპის წინაშე სადიდებლად ძირს დაექციათ... ჰოი, განგებავ, განრისხდი... მოსპე ბუნაგი ბნელით მოცული...

მნათე. წრეულს რიგია ზორვადობისა მისი შვილისა...

იასე. მერე, მეფემ არ იცის განა?..

მნათე. არა, არ იცის-.. თუმცა-კი მეფე ყოველ დღე მიდის, მის სულსა ლოცავს...

იასე. მერე შენ?..

მნათე. ამის თქმა მეფის წინაშე არ ივარგებდა... და ზორვაც ამისა ნებას როდი მაძლევდა...

იასე. მაშ...

მნათე. აი, ზორვასი სურვილი არი... და მოძღვარ ნანას მაგიერობაც მისთვის იკისრა, რომ...

იასე. რომ მე...

ნანა. მე შენ გადამერჩინე...

იასე. ზორვას უმანკო სისხლით?!.. მის სპეტაკ განწირულ სულით?!.. და შენც, ნანა, დასთანხმდი...

ნანა. შენთვის, ჩემო იასე, შენთვის...

იასე. ჩემთვის?!.. არა, შენის ცხოვრების სიტკბოებისთვის...

ნანა. იასე...

იასე. ერთხელ მაინც, ამ სამს დღეში, მისი განწირვა რად არ მითხარი... განა, ცხოვრების სიტკბომ შენ გაგიტაცა და ის იქ დაგავიწყა? მაგრამ, რა შენ... თვით ჩემი მოვალეობა?!.. მე, ვით ვაჟკაცი, შენზედა მძლავრი, მეტის-მეტადა დამნაშავე ვარ... ოჰ, სად, სადა ხარ, ჩემო გონების სხივო! მესმის, მესმის განწირული მშობლის ყვედრება, მისი სულის კვეთების ხმა, ვხედავ, ვხედავ, უმანკო ბავშვო, შენსა მიამიტს თვალსა ჩემსკენა გამომზერილსა... და განა მარტო ერთისა... ვერ დასთვლის ადამიანი, ვით ცაზე ვარსკვლავსა... აა, სხივო ჩემის გონების, გხედავ, მესმის ეგ შენი იდუმალი ხმა... ვხედავ, ვხედავ, შენს კვალს... მნათე!.. გასწი, გამიძეხ...

მნათე. სადა, მოძღვარო...

იასე. კერპთ ბუნაგამდე...

ნანა. (გადაეღობება) იასე, ჩემო იასე, იქ დაიღუპები...

იასე. ნანა!.. იქ მიმიძღვის მოვალეობა...

ნანა. (მნათეს) იქ დაიღუპება...

იასე. (მნათე უკვე წინ უძღვება) მერე, რა?.. ვისით შობილი, მითივ დაფლული... გამიძეხ, მნათე!..

3.

ნ ა ნ ა.

ნანა. მე უიმისოდ?.. ნეტა რას ვაქნევ?!..

ფ ა რ დ ა.

(დასასრული იქნება).

ს. გლახაშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.